ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №25-70

2016 წლის 11 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის №33-129 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 04/01/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016255) და დადგენილების პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „C“ ჰეპატიტის დიაგნოსტიკის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ (დანართი №6) მე-2 მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ^{1}“ქვეპუნქტი:

„ბ^{1}) 2016 წლის განმავლობაში ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების კომპონენტში ჩართულ ყველა მოსარგებლეს (გარდა ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსარგებლეებისა) დაუფინანსდეს ამ წესის მე-8 და 8^{1} მუხლებით დადგენილი მომსახურების ღირებულების 60 %, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**